თავი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 19 171 069.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 9 082 465.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 8 775 156.7 ათასი ლარი. საკასო შესრულება კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 96.6%, ხოლო წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის - 45.8%-ია.

საქართველოს 2011-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური, კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 14 415 261.9 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 7 251 746.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7 004 437.0 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 96.6%-ია, ხოლო წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის - 48.6%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 3 059 849.1 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 161 793.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 1 179 866.1 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 101.6%-ია, ხოლო წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის - 38.6%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 459 000.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 160 576.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 87 532.6 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 54.5%-ია, ხოლო წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის - 19.1%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 1 236 958.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 508 349.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 503 320.9 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 99.0%-ია, ხოლო წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის - 40.7%-ია.

2022 წლის 6 თვის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 2022 წლის იანვრიდან გაიზარდა პენსიის ოდენობა და 70 წლამდე ასაკის პენსიონერისათვის განისაზღვრა 260 ლარით, 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერისათვის – 300 ლარით. შესაბამისად გადაანგარიშდა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა 1 400.4 მლნ ლარზე მეტი;
- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო, ასევე, 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბენეფიციარებისათვის (პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილი), რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივი ცხოვრების პირის სტატუსი, ფულადი დახმარების გაცემა. ამასთან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 120 000-ზე და რომლებშიც 16 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ), მიმდინარე წლის პირველი ივნისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება გაიზარდა 50 ლარით და შეადგინა 150 ლარი. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 538.6 მლნ ლარზე მეტი;
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებები - დანამატის სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. უზრუნველყოფილია დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). ანაზღაურებულია მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 50%. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 39.8 მლნ ლარი;
- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში უწყვეტად ხორციელდება მოსახლეობის, როგორც ამბულატორიული (გადაუდებელი და გეგმური), ასევე სტაციონარული (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება; გეგმური ქირურგია, მ.შ. კარდიოქირურგიისა და ონკოლოგიური დაავადებების ქირურგია; ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა - ქიმიო/ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობა/საკეისრო კვეთა, მაღალი რისკის ორსულთა, მელოგინეთა და მშობიარეთა მკურნალობა, ინფექციური დაავადებების

მართვა) სამედიცინო დახმარება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით და სხვა. ასევე, მოსახლეობის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 410.3 მლნ ლარამდე;

- ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებიდან გამომდინარე განხორციელებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 453,8 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის:
  - ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებისა და მართვის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან კოორდინაციით და აგრეთვე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქვეყანაში „COVID – 19“-ის მასიური გავრცელების რისკების შემცირებისა და თავიდან აცილების რიგი ღონისძიებები, მათ შორის შესყიდულ იქნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ტესტები, განხორციელდა საკარანტინე სივრცეების სასტუმრო მომსახურება/სამედიცინო მეთვალყურეობა, საკარანტინე სივრცეების სამედიცინო პერსონალით და პირველადი სამედიცინო დანიშნულების საგნებით/მედიკამენტებით უზრუნველყოფა, საეჭვო და დადასტურებელი შემთხვევის მართვა და პაციენტების სტაციონარული მკურნალობა (საკარანტინე სივრცეების სასტუმრო მომსახურება გაეწია 10.7 ათასამდე ბენეფიციარს); საანგარიშო პერიოდში დონაციის სახით მიღებულ იქნა 50.3 ათას დოზაზე მეტი (ფაიზერი) ვაქცინა, ხოლო შესყიდულ იქნა 249.2 ათას დოზაზე მეტი ფაიზერის ვაქცინა. სულ ზემოაღნიშნული მიზნებისათვის საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხაზით მიმართულ იქნა 419.6 ათას ლარამდე;
  - ✓ სსიპ - ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განახორციელა 10 669 პირის განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სულ ამ მიზნით მიმართულ იქნა 10.9 მლნ ლარი, მათ შორის 3.7 მლნ ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან და 7.2 მლნ ლარი - ადმინისტრაციის საკუთარი სახსრებიდან;
  - ✓ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის სოციალური მხარდაჭერის ფარგლებში, 50 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც 2021 წლის 8 ნოემბრიდან COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით პირველადად აიცრებოდა ავტომატურად ხდებოდა ერთჯერადი სოციალური დახმარების (200 ლარის) მიმღები, ხოლო ვაქცინის დამატებითი ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში - (100 ლარის) მიმღები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული დახმარება გაიცა პირველადად აცრის შემთხვევაში იანვარში - 37.7 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში - 23.4 ათასზე მეტ პირზე, მარტში - 5.0 ათასამდე პირზე, აპრილში - 2.4 ათასამდე პირზე, მაისში - 813 პირზე, ივნისში - 36 პირზე, ხოლო ბუსტერ დოზისთვის თებერვალში - 54.1 ათასამდე პირზე, მარტში - 22.0 ათასამდე პირზე, აპრილში - 14.3 ათასამდე პირზე, მაისში - 4.5 ათასზე მეტ პირზე და ივნისში - 194 პირზე. სულ ამ მიზნით მიიმართა 23.4 მლნ ლარი;
  - ✓ „COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში საჯარო სკოლების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა იმ საჯარო სკოლების პედაგოგების ფინანსური უზრუნველყოფა, რომლებმაც კლასში გაკვეთილების ჩატარების პარალელურად, სასწავლო პროცესი წარმართეს დისტანციურად (ონლაინ) რეჟიმში. სულ ქვეპროგრამაში ჩართული იყო 1 022 საჯარო სკოლა და 26 017 პედაგოგი, რომელთაგანაც 1 061 პედაგოგი დასაქმებულია სხვადასხვა

სკოლაში. ამასთან, 329 სკოლა დაფინანსდა თვითტესტირებისთვის შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვისა და სკოლის ექიმების ანაზღაურების მიზნით;

- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 9 031 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 400 ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება დროებითი საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50-დან 300 ლარამდე); მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართები დაუკანონდა და საკუთრებაში გადაეცა 320 ოჯახს; საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა 179 დევნილი ოჯახი ახალაშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში. ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 1 195 საცხოვრებელი სახლი (თბილისი - 491, იმერეთის რეგიონი - 128, სამეგრელოს რეგიონი - 576); ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა N53-ში მიმდინარეობდა 3 შეწყვილებული თექვსმეტსართულიანი კორპუსის (480 ბინა) და 2 შეწყვილებული თექვსმეტსართულიანი კორპუსის (320 ბინა) სამშენებლო სამუშაოები;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაიწყო საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას. საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან. პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის, შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება. საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და თვეში 300 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება. საანგარიშო პერიოდში დასაქმების საინფორმაციო სისტემაში (სარეგისტრაციო პორტალზე) რეგისტრირებულია 393 მომწოდებლის მიერ მოწოდებული 23.7 ათასი ვაკანტური ადგილი. საქართველოს მასშტაბით, საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამასთან დაკავშირებით, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიმართა 42.9 ათასზე მეტმა მოქალაქემ, საიდანაც 18.3 ათასზე მეტი გადამისამართდა კონკრეტულ ვაკანსიაზე, სოციალური ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 12.6 ათასამდე პროგრამის მოსარგებლესთან, მათ შორის: 922 ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-ებშია გაფორმებული, ხოლო 11.6 ათასზე მეტი ხელშეკრულება, ადგილობრივ თვითმმართველობებში გაფორმდა (თბილისი - 130, იმერეთი - 1 948, კახეთი -1 852, ქვემო ქართლი - 441, შიდა ქართლი - 260, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 2 060, აჭარა - 1023, სამცხე-ჯავახეთი - 659, მცხეთა-მთიანეთი - 496, გურია - 1 731, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 1 030).
- „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სქემა ამოქმედდა. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სქემაში რეგისტრირებულ მონაწილეთა ოდენობამ 1 292.0 ათასზე მეტი შეადგინა (კერძო ორგანიზაციებიდან - 1 010.0 ათასი, ხოლო საჯარო დაწესებულებებიდან - 282.0 ათასი მონაწილე). მონაწილე კერძო ორგანიზაციების რაოდენობამ 88.1 ათას კომპანიას მიაღწია. 2022 წლის 30 ივნისისთვის საპენსიო აქტივების ღირებულებამ (დეკლარირებული + სარგებელი) 2.43 მლრდ ლარი შეადგინა. საინვესტიციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საპენსიო აქტივებზე რეალური ამონაგების გაზრდის მიზნით და მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა 210.0 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიცია მაღალრეიტინგული ადგილობრივი ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში, ხოლო 10.0 მლნ ლარის ოდენობის საპენსიო აქტივები ეროვნულ ვალუტაში განთავდსა ბანკების ვადიან დეპოზიტებზე. ასევე,

სააგენტომ განახორციელა 4.5 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიცია საქართველოს სახაზინო ვალდებულებებში, ხოლო 99.9 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიცია საქართველოს სახაზინო ობლიგაციებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეძენილ იქნა 165.5 მლნ აშშ დოლარი, რომლის ინვესტირებაც განხორციელდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სხვადასხვა აქტივებში. სააგენტომ 95.9 მლნ აშშ დოლარი განათავსა უცხოურ სამთავრობო ფასიან ქაღალდებში (აქედან, 55.0 მლნ აშშ დოლარის რეინვესტირება მოახდინა), 86.4 მლნ აშშ დოლარი უცხოურ კორპორაციულ აქციებში (კონკრეტულად iShares MSCI World ETF-ში), ხოლო 1.9 მლნ აშშ დოლარი საქართველოს სუვერენულ ევროობლიგაციებში.

- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2078-მდე საჯარო და 216 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 499.4 მლნ ლარი.
- საგანმანათლებლო დაწესებულების 1 557 მანდატური უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 607 საჯარო, 2 კერძო სკოლასა და 2 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- განხორციელდა თბილისის 38 საჯარო სკოლის 15 318 მოსწავლისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 30 საჯარო სკოლის 1 904 მოსწავლის ტრანსპორტირება, ასევე 7 სკოლის 383 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება. დაფინანსდა 56 მუნიციპალიტეტი საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით.
- პროფესიული განათლების დასაფინანსებლად მიიმართა 39.5 მლნ ლარი, სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების დაფინანსებისა და ახალგაზრდების წახალისების მიზნით მიმართულ იქნა 67.1 მლნ ლარი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით - 8.9 მლნ ლარი, ხოლო ინკლუზიური განათლების დასაფინანსებლად - 18.3 მლნ ლარამდე;
- მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით მიმართული იქნა 33.9 მლნ ლარამდე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით დასრულებულია 38 საჯარო სკოლის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო და ერთი საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები; მიმდინარეობდა 6 სკოლის მშენებლობა, 11 სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, 70-მდე სკოლის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები; 74 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; დაფინანსებულია 56 საჯარო სკოლა ნაწილობრივ სარეაბილიტაციო და ინვენტარით აღჭურვის მიზნით. ასევე, საანგარიშო პერიოდში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დასრულდა 15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო და 9 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო მიმდინარეობდა 34 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო და 7 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები. აგრეთვე მიმდინარეობდა საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და საჯარო სკოლების სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო და ენერგოეფექტურობის გაზრდის სამუშაოები.
- მიმდინარეობდა 9 პროფესიული სასწავლებლის და 7 სახელოსნოს მშენებლობა, 5 კოლეჯის სრული და 7 კოლეჯის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- მიღებულ იქნა მონაწილეობა მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში.
- ხელი შეეწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, სპორტის 50 სახეობაში დაფინანსდა 20 ეროვნული შეჯიბრების ორგანიზება და 40 საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა, 56 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. სპორტსმენებს გაუწია სამედიცინო მომსახურება.

- ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე მოიპოვეს 116 ოქროს, 101 ვერცხლის, 121 ბრინჯაოს, ჯამში 338 მედალი;
- „კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცა 859 სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე;
- „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 305-მა ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება;
- „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერა“ პროგრამის ფარგლებში გაიცა დახმარება 25 მუნიციპალიტეტში 309 მწვრთნელზე ;
- „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 125 სპორტსმენს.
- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2021 წლის 1 დეკემბრიდან 2022 წლის 15 მაისამდე პერიოდში, მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება 9.5 მლნ ლარის ოდენობით (მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობა - 16.7 მლნ $მ^3$);
- სსიპ - აწარმოე საქართველოში ორგანიზებით განხორციელდა 20 სექტორული შეხვედრა სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებთან სააგენტოს მიერ განსახორციელებელი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების ცნობადობის ამაღლების მიზნით, მათ შორის: სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში (დადასტურებულია 109 პროექტი, საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის/ლიზინგის საერთო ჯამური მოცულობაა 79.1 მლნ ლარი), რომელსაც დაემატა საპილოტე რეგიონების კომპონენტი (იმერეთი, გურია, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი), გაიმართა ბიზნესების მიზნობრივ ჯგუფებთან საინფორმაციო სახის შეხვედრები. საპილოტე რეგიონებში დადასტურდა 22 პროექტი, საიდანაც დაფინანსება დაწყებულია 17 პროექტზე (საანგარიშო პერიოდში გაუქმდა 5 პროექტი). საპილოტე რეგიონებში დადასტურებულ პროექტებზე საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის/ლიზინგის საერთო ჯამური მოცულობა შეადგენს 7.3 მლნ ლარს.
- სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ ფარგლებში სუბსიდირება გაეწია 6 094 ბენეფიციარს ჯამურად 8.9 მლნ ლარის ოდენობით. სუბსიდირებული იპოთეკური სესხის პროგრამის ფარგლებში დადასტურდა 806 იპოთეკური სესხი (სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 90.3 მლნ ლარს). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაიცა 1 794 ბენეფიციარზე 5.2 მლნ ლარის ოდენობით;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურდა 68 ახალი სესხი და მოხდა პროგრამის ფარგლებში გაცემული 2 სესხის რეფინანსირება. სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 56.8 მლნ ლარს, ხოლო საგარანტიო თანხა - 37 მლნ ლარს. საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სსიპ-ის - აწარმოე საქართველოში საკუთარი შემოსულობების ანგარიშზე „სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემის” დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად ჩარიცხული თანხებიდან, საანგარიშო პერიოდში კომერციული ბანკების მიერ აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით გაცემული ტრანშების შესაბამისად განხორციელდა საგარანტიო თანხების განთავსება დეპოზიტებზე 24.1 მლნ ლარის ოდენობით (მათ შორის 2020 წელს დამტკიცებულ სესხებზე 2 ბენეფიციარისათვის 91.8 ათასი ლარი; 2021 წელს დამტკიცებულ სესხებზე 98 ბენეფიციარისათვის 12.8 მლნ ლარი და 2022 წლის დამტკიცებულ სესხებზე 88 ბენეფიციარისათვის 11.2 მლნ ლარი);
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარეობდა სოფლების გაზიფიცირებასთან დაკავშირებული სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ჯამში 17 165 პოტენციურ აბონენტს მიეცა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება;

- საირიგაციო და დამშრობი (დრენაჟი) სისტემების, ჰიდროტექნიკური ნაგებობის რეაბილიტაციის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა დანადგარების შეძენის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსების, საირიგაციო და დამშრობი (დრენაჟი) სისტემების გაუმჯობესების მიზნით მიიმართა 24.8 მლნ (მათ შორის სუბსიდია 12.0 მლნ ლარი) ლარი. საირიგაციო სისტემებზე სამუშაოები მიმდინარეობდა 33 პროექტზე, ხოლო დამშრობი (დრენაჟი) სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდებოდა 1 ობიექტზე;
- განხორციელდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი: 8 884 ინსპექტირება, 3 545 დოკუმენტური შემოწმება, 1 259 ნიმუშის აღება, 321 ზედამხედველობა. აღნიშნული ქმედებების შედეგად გამოვლენილი იქნა 1 880 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ფარგლებში ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობდა იძულებითი და პროფილაქტიკური ვაქცინაცია: ცოფის, ჯილეხის, ნოდულარული დერმატიტის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის, ბრუცელოზის, თურქულის, საწინააღმდეგოდ. ასევე, მიმდინარეობდა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;
- დასავლეთ საქართველოში დაიწყო ფუნციონირება აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვის ცენტრმა, ასევე მოხდა ლოჯისტიკური ცენტრების შერჩევა და სპეციალური ტექნიკის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა. მონიტორინგი განხორციელდა ფაროსანას მოზამთრე ფაზებზე მათ გამოზამთრების ადგილებში და წინასწარ განისაზღრა ის ტერიტორიები სადაც მოხდება ფერემონების განთავსების დაწყება. მონიტორინგის მიზნით განთავსებულია 3.5 ათასი ფერომონი, „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურებზე განთავსებულია 18.2 ათასი ფერომონი, დამუშავებულია 13.0 ათასი ჰექტარი ფართობი. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 16.5 მლნ ლარი;
- „შეღავათიანი აგროკრედიტების“ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 6 988 ახალი სესხი 284.7 მლნ ლარის ოდენობით, სულ მომსახურება გაეწია 12 641 სესხს, გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 78.7 მლნ ლარი;
- „დანერგე მომავალის“ პროექტის ფარგლებში: ბაღების კომპონენტის ფარგლებში 379 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 400 ხელშეკრულება; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 2 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 2 ხელშეკრულება; ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 50 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 50 ხელშეკრულება; წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის დაფინანსდების კომპონენტის ფარგლებში 33 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 33 ხელშეკრულება. სულ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ პროექტებზე მიიმართა 20.6 მლნ ლარი;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 687.9 მლნ ლარი, მათ შორის:
  - ✓ საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა - 217.9 მლნ ლარი (მათ შორის საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია - 104.3 მლნ ლარი, საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - 42.3 მლნ ლარი);
  - ✓ ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა - 470.0 მლნ ლარი.

- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახარჯულ იქნა 237.2 მლნ ლარი, მათ შორის განხორციელდა ისეთი მნიშნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:
  - ✓ განახლებული რეგიონების პროგრამა - 105.1 მლნ ლარი;
  - ✓ რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) – 20.9 მლნ ლარი;
  - ✓ საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (I ფაზა) (ADB) – 18.8 მლნ ლარი;
  - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB)– 10.6 მლნ ლარი;
  - ✓ საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) – 6.8 მლნ ლარი;
  - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება - 6.0 მლნ ლარი;
  - ✓ საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 29.8 მლნ ლარი (ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულია 22.8 მლნ ლარი) ;
  - ✓ თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P) – 10.1 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში:
  - ✓ ჯვარში მიმდინარეობდა რეზერვუარის სარეაბილიტაციო და სატუმბი სადგურის სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ თელავის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობის (79 კმ-იანი წყალმომარაგების ქსელიდან მოეწყო 25 კმ-იანი ქსელი, საანგარიშო პერიოდში მოეწყო 17 კმ ქსელი) და 4 რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები. აშენებული 1 რეზერვუარი. დასრულდა 3 ჭაბურღილის ბურღვითი სამუშაოები და დაიწყო ტესტირება.
  - ✓ მიმდინარეობდა: საგარეჯოს, სიღნაღის, გურჯაანის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, დუშეთის, სენაკი, ფოთის, წყალტუბოს, გარდაბნის და სხვა მუნიციპალიტეტების ქალაქების, დაბების და სოფლების წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოწყობის და სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (Design Build);

  წყალმომარაგების ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 137.3 მლნ ლარი;
- ,,საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე" შეთანხმების შესაბამისად 2022 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის 15 მარტს გამოშვებული 160,846.0 ათასი ლარის ობლიგაციების განახლება 120,846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 9.549% საპროცენტო განაკვეთით და 40,000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:
  - ➢ 10,000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური განაკვეთით 9.500%;
  - ➢ 8,000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 9.500%;
  - ➢ 12,000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 9.500%;
  - ➢ 10,000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 9.500%.

  ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2022 წლის 15 მარტს განხორციელდა 2017 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის" დაფარვა 10,000.0 ათასი ლარის ოდენობით; 2022 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2018 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის" დაფარვა 12,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 14 კვალიფიციური პოლიტიკური პარტია (მ.შ. 2 პარტია დაფინანსდა მხოლოდ იანვარ-თებერვლში, რადგან მარტიდან დაკარგეს დაფინანსების მიღების უფლება);
- 2022 წლის 2 აპრილს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის და ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნები, მიმართული იქნა 2.5 მლნ ლარამდე;
- საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 35 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 85.6 ათასი ლარი;
- სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, „უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულების საფუძველზე, განახორციელა 2022 წლის 1 თებერვლიდან - 23 თებერვლის ჩათვლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული 555 უკრაინელი მოქალაქის განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან და კვებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 1.9 მლნ ლარი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად ჰუმანიტარული დახმარების სახით გაიგზავნა 1.0 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სამედიცინო დანიშნულების საქონელი, მათ შორის სამინისტროს მიერ შესყიდული ტვირთის ღირებულებამ შეადგინა 167.8 ათას ლარზე მეტი, ხოლო ფარმაცევტული კომპანიების და კერძო სექტორის იურიდიული პირების მიერ უსასყიდლოდ გადმოცემულმა - 846.2 ათას ლარამდე;

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 888 099.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 865 730.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.5%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების" მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების" საკასო შესრულების 12.4%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 9.9%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 939 763.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 877 192.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.3%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების" მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების" საკასო შესრულების 12.5%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.0%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 194 891.7 ათასი ლარი;
- მივლინება - 18 780.3 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 145 588.1 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 9 101.2 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 54 985.9 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 123 146.5ათასი ლარი;

- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 29 367.1 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 69 221.2 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 8 377.5 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 223 733.2 ათასი ლარი.

„პროცენტის” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 357 582.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 352 208.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 5.0%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 110 256.2 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე - 241 905.6 ათასი ლარი.

„სუბსიდიების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 354 901.3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 330 828.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.8%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- ✓ ერთიანი აგროპროექტი - ჯამურად მიიმართა 101 658.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5 %-ს შეადგენს;
- ✓ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია - აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 75 723.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.3%-ს შეადგენს;
- ✓ მეწარმეობის განვითარება - ჯამურად მიიმართა 51 341.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79.5 %-ს შეადგენს;

„გრანტების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 456 122.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 392 671.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.5%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 3 021 740.3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (3 032 219.7 ათასი ლარი) 99.7 %-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 34.4%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 400 343.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 538 617.7ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 424 437.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.1%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 405 286.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 144 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 223 057.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 164 064.2 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 95.2%-ს. „სხვა ხარჯების" მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების" საკასო შესრულების 16.6%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების - 13.3%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 517 982.9 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია), მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებაზე - 488 191.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 105 178.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების ხელშეწყობა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 65 894.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 61 335.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84.2%-ს შეადგენს;
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 56 604.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.7%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 23 546.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.0%-ს შეადგენს.
- ✓ კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 21 650.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 110.1%-ს შეადგენს.

2022 წლის 6 თვის ხარჯების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



2020-2021 წლების 6 თვის ფაქტიური შესრულება
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 -ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: *701* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები;*

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 2 124 266.3 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 854 290.9 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 40.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.4%. მათ შორის:
  - ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 197 409.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (461 192.5 ათასი ლარი) 42.8%-ია;
  - ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 35 873.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (66 566.0 ათასი ლარი) 53.9%-ია;
  - ✓ ფუნდამენტალური სამედიცინო კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 2 036.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (4 434.0 ათასი ლარი) 45.9%-ია;

- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 354 104.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (793 974.8 ათასი ლარი) 44.6%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 239 782.7 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (741 440.5 ათასი ლარი) 32.3%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 25 084.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (56 658.5 ათასი ლარი) 44.3%-ია.

• თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 052 849.7 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 586 046.9 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 55.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.2%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 313 776.1 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (487 767.1 ათასი ლარი) 64.3%-ია;
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 24 530.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (32 746.2 ათასი ლარი) 74.9%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 247 740.1 ათასი ლარი, რაც წლიური დაგეგმილი მაჩვენებლის (532 336.5 ათასი ლარი) 46.5%-ია.

• საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 1 471 299.7 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 676 020.3 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 45.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 8.3%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 380 520.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (781 006.7 ათასი ლარი) 48.7%;
- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 47 095.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (88 366.1 ათასი ლარი) 53.3%;
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 72 186.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (174 712.8 ათასი ლარი) 41.3%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 69 236.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (184 930.0 ათასი ლარი) 37.4%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 106 981.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (242 284.0 ათასი ლარი) 44.2%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 3 841 944.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 445 891.8 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 37.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 17.7%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 98 113.3 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (335 917.2 ათასი ლარი) 29.2%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 265 868.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (556 412.7 ათასი ლარი) 47.8%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 88 135.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (108 264.0 ათასი ლარი) 81.4%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართულ იქნა 2 527.7 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (7 928.0 ათასი ლარი) 31.9%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 720 592.1 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (1 917 059.0 ათასი ლარი) 37.6%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 249 821.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (789 254.4 ათასი ლარი) 31.7%;

- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 20 833.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (127 109.1 ათასი ლარი) 16.4%-ს შეადგენს.

• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 121 336.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 49 887.5 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 41.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.6%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 10 578.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (34 950.0 ათასი ლარი) 30.3%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 930.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2 161.1 ათასი ლარი) 43.0%-ს შეადგენს;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 14 418.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (39 228.8 ათასი ლარი) 36.8%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 23 960.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (41 546.3 ათასი ლარი) 57.7%-ს შეადგენს.

• საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 269 200.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 108 345.8 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 40.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 1.3% (წყალმომარაგების დაფინანსება);

• ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 847 067.4 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 072 147.5 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებელის 58.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 13.1%. მათ შორის:

- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 847.1 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (4 250.0 ათასი ლარი) 19.9%;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 435 378.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (890 932.3 ათასი ლარი) 48.9%-ს შეადგენს;
- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 146 091.9 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (292 054.9 ათასი ლარი) 50.0%;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 35 933.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (93 716.7 ათასი ლარი) 38.3%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 453 896.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (566 113.4 ათასი ლარი) 80.2%-ს შეადგენს.

• დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 416 422.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 212 282.6 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებელის 51.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.6%. მათ შორის:

- ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 79 503.0 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (143 239.3 ათასი ლარი) 55.5%;
- ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 44 942.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (120 807.8 ათასი ლარი) 37.2%-ს შეადგენს;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 42 164.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (84 680.0 ათასი ლარი) 49.8%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 098.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (4 332.0 ათასი ლარი) 25.4%-ს შეადგენს;

- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 44 574.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (63 363.3 ათასი ლარი) 70.3%-ს შეადგენს;

• განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1 841 319.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 895 492.1 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 48.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.9%. მათ შორის:

- ✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 114.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (110.4 ათასი ლარი) 104.1%-ს შეადგენს;
- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 523 174.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1 022 351.7 ათასი ლარი) 51.2%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 42 666.5 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (78 271.0 ათასი ლარი) 54.5%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 87 476.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (147 673.3 ათასი ლარი) 59.2%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1 112.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1 500.0 ათასი ლარი) 74.1%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 83 071.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (166 937.6 ათასი ლარი) 49.8%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 32 465.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (60 411.7 ათასი ლარი) 53.7%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 125 410.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (364 064.3 ათასი ლარი) 34.4%-ს შეადგენს.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის
დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 4 469 783.6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 283 897.7 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 51.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 27.9%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 7 207.7 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (13 116.0 ათასი ლარი) 55.0%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 450 650.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2 943 093.9 ათასი ლარი) 49.3%-ს შეადგენს;

- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 550 327.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (1 024 124.0 ათასი ლარი) 53.7%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 15 752.1 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (33 800.0 ათასი ლარი) 46.6%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 66 915.1 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (111 054.4 ათასი ლარი) 60.3%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 193 044.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (344 595.4 ათასი ლარი) 56.0%-ს შეადგენს.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 55 000.0 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის განკარგულებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 16 848.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 12 549.5 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	*თანხის გაცემის მიზანი*	*აქტით გამოყოფილი თანხა*	*გამოყოფილი თანხა*	*საკასო ხარჯი*	*გადახრა*
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია		**300,000.00**	**300,000.00**	**188,063.33**	**111,936.67**
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1029 13.06.22.	თბილისის ქალთა საერთაშორისო კონფერენციის - „ლიდერები კონფლიქტების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით	300,000.00	300,000.00	188,063.33	111,936.67
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია		**5,988,392.35**	**3,541,717.10**	**3,508,925.18**	**32,791.92**
საქართველოს მთავრობის განკარგულება N04-ს 25.01.22.	ს ა ი დ უ მ ლ ო	450,000.00	450,000.00	432,076.90	17,923.10
საქართველოს მთავრობის განკარგულება N528 25.03.22.	საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და საქართველოს საერთაშორისო რეგიონალურ ფინანსურ და საბანკო ჰაბად პოზიციონირების საკითხებზე ხელშეწყობისათვის აუცილებელი საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით	4,059,592.35	1,826,717.10	1,820,915.17	5,801.93
საქართველოს მთავრობის განკარგულება N836 13.05.22.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	1,265,000.00	1,265,000.00	1,255,933.11	9,066.89
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1011 09.06.22.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	213,800.00	0.00	0.00	0.00
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია		**2,528,000.00**	**2,528,000.00**	**2,446,551.66**	**81,448.34**
საქართველოს მთავრობის განკარგულება N257 11.02.22.	2022 წლის 2 აპრილს გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნების დაფინანსების მიზნით	2,528,000.00	2,528,000.00	2,446,551.66	81,448.34
საქართველოს პროკურატურა		**511,276.11**	**252,342.72**	**252,336.93**	**5.79**

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	*თანხის გაცემის მიზანი*	*აქტით გამოყოფილი თანხა*	*გამოყოფილი თანხა*	*საკასო ხარჯი*	*გადახრა*
საქართველოს მთავრობის განკარგულება N229 07.02.22.	საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული კომპანიებისა და სისხლის სამართლის დარგის უცხოელი სპეციალისტებისაგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, ამ მიზნით საქართველოში ვიზიტებთან დაკავშირებული ხარჯების, აგრეთვე ხსენებულ ღონისძიებათა ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადების დასაფინანსებლად	511,276.11	252,342.72	252,336.93	5.79
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		**408,000.00**	**408,000.00**	**407,996.30**	**3.70**
საქართველოს მთავრობის განკარგულება N836 13.05.22.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	408,000.00	408,000.00	407,996.30	3.70
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		**4,948.83**	**4,948.83**	**4,947.84**	**0.99**
საქართველოს მთავრობის განკარგულება N985 06.06.22.	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2021 წლის 22 აპრილის საქართველოს ახალი ევროობლიგაციების გამოშვების ტრანზაქციისათვის დაქირავებული საერთაშორისო ფისკალური აგენტის მომსახურების ანაზღაურების და მასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების დასაფინანსებლად	4,948.83	4,948.83	4,947.84	0.99
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		**1,060,480.00**	**1,060,480.00**	**877,824.64**	**182,655.36**
საქართველოს მთავრობის განკარგულება N14 06.01.22.	მოქალაქე კახაბერ ჯონჯუასათვის (პ/ნ 62001006958) შეუფერხებელი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად, სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული არასამედიცინო ხარჯების დასაფინანსებლად	27,900.00	27,900.00	27,538.01	361.99
საქართველოს მთავრობის განკარგულება N200 02.02.22.	მოქალაქე ლუკა პეტრიაშვილისათვის (პ/ნ 59001121464) შეუფერხებელი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად, სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული მისი და მისი თანმხლები პირის არასამედიცინო ხარჯების დასაფინანსებლად	19,600.00	19,600.00	18,697.73	902.27
